არ იყო არც ერთი წინასწარმეტყველი, რომელიც ალლაჰმა წარგზავნა ჩემამდე ხალხისათვის, რომელსაც მის თემში არ ჰყავდა ჰავარები(ნდობით აღჭურვილი პირები) და(ასჰაბები) თანამგზვრები, რომლებიც მის სუნნას და ბრძანებებს მისდევდნენ

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან, (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ იყო არც ერთი წინასწარმეტყველი, რომელიც ალლაჰმა წარგზავნა ჩემამდე ხალხისათვის, რომელსაც მის თემში არ ჰყავდა ჰავარები(ნდობით აღჭურვილი პირები) და(ასჰაბები) თანამგზვრები, რომლებიც მის სუნნას და ბრძანებებს მისდევდნენ, შემდეგ კი მათ შემდეგ მოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ იმას, რასაც არ აკეთებდნენ და აკეთებდნენ იმას, რაც არ იყო მათთვის ნაბრძანები, ვინც მათთან იბრძვის ხელით, ის მორწმუნეა; ვინც მათთან იბრძვის ენით, ის მორწმუნეა; და ვინც მათთან იბრძვის გულით, ისიც მორწმუნეა. ხოლო ამის მიღმა რწმენა მდოგვის მარცვალიც კი არ არის»

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ არ იყო არც ერთი წინასწარმეტყველი, რომელიც ალლაჰმა წარგზავნა ხალხისათვის მასზე ადრე, რომ არ ჰყოლოდა მის თემში რჩეულები, დამხმარეები და გულწრფელი მუჯაჰიდები, რომლებიც ხალიფობისთვის იყვნენ ღირსეულნი მის შემდეგ; ისინი მის სუნნას მისდევდნენ და მის ბრძანებებს ემორჩილებოდნენ. შემდეგ კი ამ მართალი წინამძღოლების შემდეგ მოდიან ადამიანები, რომელთაც სიკეთე არ გააჩნიათ; ისინი ამბობენ იმას, რასაც არ აკეთებენ, და აკეთებენ იმას, რაც არ არის მათთვის ბრძანებული. ვინც მათ წინააღმდეგ იბრძვის ხელით, ის მორწმუნეა; ვინც მათ წინააღმდეგ იბრძვის ენით, ის მორწმუნეა; და ვინც მათ წინააღმდეგ იბრძვის გულით, ისიც მორწმუნეა. ხოლო ამის მიღმა იმანში (რწმენაში) მდოგვის მარცვალიც კი არ არის.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee